# ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13240896**

თარიღი:**29/03/2024**

**ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ახალციხეში, კოსტავას ქუჩა N11-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი 62.09.58.141), განკარგოს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით. 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის 2024 წლის 19 მარტის აუდიტორული შეფასების თანახმად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი